



მისალმება

პატივცემულ მოქალაქეებო, მოგესალმებით G-PAM პროექტის გუნდის სახელით. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, წინამდებარე ბიულეტენის ნომერს ვუთმობთ ტრეფიკინგის თემას და გთავაზობთ: ინტერვიუს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მდივან - ბექა ძამაშვილთან და შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელ - დიანა როსტიაშვილთან. წინამდებარე ნომერში ასევე იხილავთ ამონარიდს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშიდან, ტრეფიკინგის მიმართ ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების შესახებ მოკლე მონახაზს და სხვა სასარგებლო ინფორმაციას ამ საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ პრაქტიკაში გამოსაყენებელი ტრეფიკინგთან დაკავშირებული კითხვა-პასუხის შესახებ.



არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების სააგენტო“-ს საინფორმაციო ბიულეტენის კითხვებს პასუხობს ბექა ძამაშვილი - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მდივანი.

ბატონო ბექა, როგორია სახელმწიფო პოლიტიკა ტრეფიკინგთან ბრძოლის კუთხით?

ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ 2003 წლიდან იქნა დაწყებული ეროვნულ დონეზე, როდესაც განხორციელდა აღნიშნული ქმედების კრიმინალიზაცია. მოგვიანებით კიდევ უფრო გაძლიერდა ტრეფიკინგთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა საერთაშორისო კონვენციებთან მიერთებისა და ეროვნულ დონეზე მათი იმპლემენტაციის გზით. ამასთან, 2006 წლიდან საკანონმდებლო და ინსტიტუციურ დონეზე შეიქმნა არაერთი ეფექტური მექანიზმი, რომელიც დღემდე ახორციელებს საქმიანობას. სისხლის სამართლის კოდექსში ვხვდებით როგორც ადამიანთა ვაჭრობის დანაშაულის დეფინიციას, ასევე, კოდექსმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო არასრულწლოვნის ტრეფიკინგს (სსკ 143²-ე მუხლი) და მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობას (სსკ 143³-ე მუხლი), ამასთან დამატებით მიღებულ იქნა „ადამიანთა ვაჭრობის

გაგრძელება გვ.2

იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე



1 ივნისს, ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე იმიტირებული სასამართლო პროცესის ფინალი გაიმართა. პროექტი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციასთან, სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრთან“, სსიპ „ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან“, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“-სთან მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელდა. შეჯიბრში მონაწილეობდა თსუ-ს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის, კავკასიის სამართლის სკოლის, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისაგან შემდგარი ხუთკაციანი გუნდები. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე იმიტირებული სასამართლო პროცესის ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ კავკასიის სამართლის სკოლისა და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის გუნდები. შეჯიბრის გამარჯვებული გახდა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის გუნდი, ხოლო საუკეთესო მომხსენებლებად ოლეგ თორთლაძე (კავკასიის სამართლის სკოლა), ანა ჭაია (თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი) და ნათია ჯანელიძე (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი) დასახელდნენ. გამარჯვებული გუნდის წევრები სტაჟირებას გაივლიან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატსა და სსიპ „ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდში“. ღონისძიება მხარდაჭერილია ევროკავშირის დაფინანსებული პროექტის G-PAM-ის (ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს) მიერ.

ინტერვიუ

(ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი.

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2006 წელს შეიქმნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებთაშორისო საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც დღემდე ხელმძღვანელობს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. საბჭოს შემადგენლობაში შედიან აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საბჭოს საქმიანობას წარმოადგენს ტრეფიკინგთან ბრძოლის ეროვნული პოლიტიკის შემუშავება და მის განხორციელებაზე მონიტორინგის წარმოება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისათვის ორ წელში ერთხელ საბჭო იმუშავებს ეროვნულ სამოქმედო გეგმას, რომელიც ეყრდნობა ოთხ ძირითად მიმართულებას. ესენია: დანაშაული პრევენცია, მსხვერპლთა დაცვა, სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება და თანამშრომლობა. მოქმედი გეგმა დამტკიცდა 2013 წლის 15 მარტს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით მნიშვნელოვანია ასევე საერთაშორისო თანამშრომლობა. ამ მხრივ, საქართველო აქტიურად თანამშრომლობს მეზობელ და პარტნიორ სახელმწიფოებთან, სადაც ტრეფიკინგის მაღალი რისკია. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ 2013 წელს განხორციელდა თურქეთში ტრეფიკინგში ბრალდებული პირის ექსტრადიცია, ასევე თურქეთის, უზბეკეთისა და ისრაელის შესაბამის უწყებებში, ტრეფიკინგის საქმეებზე მიმდინარე გამოძიებების ფარგლებში, გაიგზავნა სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ შუამდგომლობები.

2. რა სიახლეები განხორციელდა საკანონმდებლო კუთხით ტრეფიკინგის დანაშაულთან დაკავშირებით?

ტრეფიკინგთან ბრძოლაში მნიშვნელოვანია სახელმწიფოს კანონმდებლობა პასუხობდეს თანამედროვე ტრეფიკინგის გამოწვევებს. მოგეხსენებათ, ტრეფიკინგი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის სახეს წარმოადგენს და მუდმივად ვითარდება და იხვეწება ტრეფიკიორთა მეთოდებიც. სწორედ, თანამედროვე ტრეფიკინგის გამოწვევების საკანონმდებლო დონეზე ასახვის მიზანს ემსახურებოდა საბჭოს ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებები. სამუშაო ჯგუფი შეიქმნა 2013 წლის აპრილში და წლის ბოლოს სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ეხებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ მუხლის შენიშვნის, კერძოდ, ტერმინი „ექსპლუატაციის“ განმარტების ფორმულირების დახვეწასა და სრულყოფას, საერთაშორისო ექსპერტიზაზე გაიგზავნა გაერო-ს

ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისსა (UNODC) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) სათავე ოფისში. საერთაშორისო ექსპერტიზის შენიშვნები და რეკომენდაციები ასახულ იქნა „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 143¹-ე მუხლის შენიშვნაში. ასევე აღსანიშნავია, რომ სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც სახელისუფლებო ორგანოების, ისე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გარდა საკანონმდებლო ცვლილებებისა, ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების ხელის შეწყობის მიზნით საბჭოს ფარგლებში 2013 წლის ოქტომბერში შეიქმნა სამართალდამცავი ორგანოებისაგან დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა სახელმძღვანელო პრინციპები პროკურორებისა და გამომძიებლებისათვის. აღნიშნული სახელმძღვანელო პრინციპები ხელს შეუწყობს სამართალდამცავ ორგანოებს პროექტიული და ეფექტიანი გამოძიების წარმოების პროცესში.

3. ძირითადად რომელი მოწყვლადი ჯგუფები ხვდებიან ტრეფიკინგის საფრთხის წინაშე?

როგორც სისხლის სამართლის საქმეების ანალიზმა აჩვენა, ტრეფიკინგის მსხვერპლნი შეიძლება იყვნენ, როგორც ზრდასრული, ისე არასრულწლოვანი პირები. რაც შეეხება მოწყვლად ჯგუფებს, ტრეფიკინგის მიზნებისათვის მოწყვლად ჯგუფებად შეიძლება მიჩნეულ იქნან პროსტიტუციით დაკავებული პირები, უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც საქართველოში შემოვიდნენ ან/და დარჩნენ შესაბამისი ვადის ამოწურვის შემდეგ და იმყოფებიან არალეგალურად, არასრულწლოვნები, ქუჩაში მცხოვრები და ქუჩაში მომუშავე ბავშვები.

4. ძირითადად, საქართველოს მოქალაქეების ტრეფიკინგის რა ტიპის შემთხვევებია დაფიქსირებული და რომელ ქვეყნებში?

ადამიანით ვაჭრობა ძირითადად ხასიათდება იძულებით შრომითა და სექსუალურ ექსპლუატაციით. ტრეფიკინგის ფაქტებზე წარმოებული სისხლის სამართლის საქმეებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს მოქალაქეების მიმართ განხორციელდა, როგორც შრომითი, ისე სექსუალური ექსპლუატაცია საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, მაგალითად თურქეთსა და არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში.

5. რა შედის საინფორმაციო კამპანიაში? რა ჯგუფებს ხვდებით, რომელ რეგიონებში, რა ტიპის შეხვედრებია ეს, არსებობს თუ არა სპეციალური საკონსულტაციო ცენტრები გახსნილი რეგიონებში?

2014 წლის 12 თებერვალს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელმა საუწყებთაშორისო

საკორდინაციო საბჭომ დაამტკიცა ტრეფიკინგთან ბრძოლის ერთიანი საინფორმაციო სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანით ვაჭრობის საფრთხეების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და ინფორმაციის მიწოდების სწორი საშუალებებისა და გზების შერჩევას. საინფორმაციო სტრატეგიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები და საკითხები სწორი საშუალებებით იქნეს გაშუქებული და საზოგადოების კონკრეტული სამიზნე ჯგუფებისათვის მიწოდებული. საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში ასევე განსაზღვრულია სამიზნე ჯგუფები, რომელთაც წარმოადგენენ

- საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეები;
- მოქალაქეობის არმქონე პირები;
- უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეები;
- საქართველოში სოფლად მცხოვრები მოსახლეობა;
- იძულებით გადაადგილებული პირები და კონფლიქტით დაზარალებული პირები;
- სოციალურად დაუცველი პირები;
- ქალთა მოწყვლადი ჯგუფები, მათ შორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები;
- არასრულწლოვნები, მათ შორის ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები;
- სტუდენტები;
- ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები;
- მედიის წარმომადგენლები

საინფორმაციო სტრატეგიით ასევე განსაზღვრულია მეთოდოლოგია თუ რა ფორმით მიეწოდება ინფორმაცია მოსახლეობას. ძირითადად ცნობიერების ამაღლების კამპანია ხორციელდება აუდიტორიასთან პირისპირ შეხვედრებით წინასწარ შერჩეულ სამიზნე ჯგუფებში (ასაკის, სქესის, საქმიანობის, სოციალური ფენის, ეთნიკურ-რელიგიური და რასის ჯგუფებისადმი კუთვნილების და ა.შ. გათვალისწინებით) თბილისსა და მუნიციპალიტეტებში (ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე), საინფორმაციო ბროშურების გავრცელებით, ტრეფიკინგთან დაკავშირებული ვიდეო და რადიო რგოლების გაშვებით, ასევე სატელევიზიო და ვიდეო გადაცემების მომზადებით, ბეჭდვითი მედიის გამოყენებით ტრეფიკინგის თემაზე საინფორმაციო ხასიათის მასალის გამოქვეყნებისათვის. საგულისხმოა, რომ საინფორმაციო ღონისძიებები ხორციელდება საკორდინაციო საბჭოს მიერ პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

საინფორმაციო კამპანია მიმართულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეგიონებსა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის ტრეფიკინგის საფრთხეების, მისგან თავის დაცვისა და სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში სწორედ სოფლად მცხოვრები მოსახლეობა წარმოადგენს იმ მოწყვლად ჯგუფს, რომელთაც არ ან შეზღუდულად აქვთ წვდომა ინფორმაციაზე.

2014 წელს დაიწყო აღნიშნული საინფორმაციო კამპანიის განხორციელება და დღეის მონაცემებით საინფორმაციო

შეხვედრები ჩატარდა თბილისში, რუსთავეში, ბათუმში, ქუთაისში, თელავში, გურჯაანში, გეგუთში, ტყიბულში, ფოთში, წალენჯიხაში, სენაკში, ზუგდიდში, ქობულეთში, გონიოსა და გორში სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან. საინფორმაციო შეხვედრებში ჩართულნი იყვნენ მოსწავლეები, სტუდენტები, მასწავლებლები, სოფლის მოსახლეობა, ქუჩაში მცხოვრები და ქუჩაში მომუშავე ბავშვები და სხვა.

საინფორმაციო შეხვედრები ასევე დაგეგმილია საქართველოს სხვადასხვა რაიონში, რომელიც გაგრძელდება 2014 წლის ბოლომდე.

აქვე აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ორგანიზებითა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციასთან, სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრთან“, სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან“, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატსა და ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან“ თანამშრომლობით ხორციელდება იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე, რომელში მონაწილეობას იღებს საქართველოში აკრედიტებული სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები.

6. რამდენად არის არასამთავრობო სექტორი ჩართული ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში?

ტრეფიკინგთან ბრძოლის ფარგლებში არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა ჩვენი პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. თანამშრომლობის კომპონენტი მოიცავს როგორც საერთაშორისო დონეზე სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობას, ასევე არასამთავრობო სექტორის ჩართულობას სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში. ამის ნათელი მაგალითია, თუნდაც ის ფაქტი, რომ არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაცია წარმოადგენს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საბჭოს მოწვეულ წევრს, ასევე ისინი აქტიურად არიან ჩართული სამუშაო ჯგუფების მუშაობაში, ერთობლივად იგეგმება და ხორციელდება ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები და სხვა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერების მიზნით 2014 წლის 27 მარტს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ გამოაცხადა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის მიზნით საინფორმაციო კამპანიის წარმოებაზე მიმართული საგრანტო კონკურსი. საგრანტო პროგრამა გულისხმობს არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გრანტის გაცემას ადამიანით ვაჭრობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით. საგრანტო პროგრამა, ერთი მხრივ, ხელს

შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებულობას ადამიანით ვაჭრობის საფრთხეების, მისგან თავის დაცვის საშუალებების, ტრეფიკინგთან ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის ან/და დაზარალებულთათვის განსაზღვრული სახელმწიფო სერვისების შესახებ, მეორე მხრივ კი, უზრუნველყოფს ამ მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარებასა და გაძლიერებას, რათა სამომავლოდ მათ დამოუკიდებლად შეძლონ ტრეფიკინგის მიმართულებით აქტიური მუშაობის გაგრძელება.

7. საგანმანათლებლო დაწესებულებებში რამდენად რეგულარულად აწვდით ინფორმაციას? და ვინ აწვდის? რომელ დაწესებულებებში ტარდება შეხვედრები? არის თუ არა შეხვედრები რეგიონებშიც? ამ შეხვედრებს დისკუსიების და ერთჯერადი შეხვედრების ფორმა აქვს თუ რეგულარული გაკვეთილების ან ლექციების?

ზოგად და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ტრეფიკინგის თემაზე ინფორმაციის გავრცელება ტრეფიკინგთან ბრძოლის 2013-2014 წლის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს. აღნიშნულთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების პროცესი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომელიც მოიცავს 2011-2016 წლებს. ეროვნული სასწავლო გეგმის სხვადასხვა საგნობრივი სტანდარტი ითვალისწინებს ტრეფიკინგის შესახებ სწავლებას. კერძოდ, სამოქალაქო განათლების IX – X კლასების სახელმძღვანელოში კონკრეტული საათები აქვს დათმობილი ტრეფიკინგის საკითხებს.

რაც შეეხება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რიგ უნივერსიტეტებში ტრეფიკინგი ისწავლება ცალკე საგნად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საკითხების სწავლება წარმოდგენილია სასწავლო კურსის ერთ-ერთ საკითხად როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამებზე.









გარდა სასკოლო და საუნივერსიტეტო პროგრამებისა, საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებთან და სტუდენტებთან სისტემატიურად იმართება ცნობიერების ამაღლების შეხვედრები, რომელიც მოიცავს ადამიანით ვაჭრობის თემას.

8. რაც შეეხება უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, უზრუნველყოფს თუ არა საკოორდინაციო საბჭო მათ მშვიდობიან დაბრუნებას სამშობლოში ან ადგილზე დროებითი თავშესაფრით მომსახურებას? მუშაობენ თუ არა მათთანაც ფსიქოლოგები?

ბუნებრივია, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის

სახელმწიფო პოლიტიკა ისევე ვრცელდება უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, როგორც - საქართველოს მოქალაქე ტრეფიკინგის მსხვერპლებზე/დაზარალებულებზე. ისინიც ანალოგიური სერვისებით სარგებლობენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების ფონდისაგან, როგორც საქართველოს მოქალაქე ტრეფიკინგის მსხვერპლები/დაზარალებულები.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ტრეფიკინგთან ბრძოლის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა მუდმივადგილსამყოფელ სახელმწიფოში უსაფრთხოდ დაბრუნების უზრუნველყოფას. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არქონე ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთათვის დროებითი ბინადრობის ნებართვის გაცემას.



ტრეფიკინგის მიმართ ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება ადამიანით ვაჭრობის კრიმინალიზაცია საქართველოში 2003 წელს განხორციელდა. აგრეთვე არასრულწლოვნით ვაჭრობა გამოცხადდა კანონგარეშედ. გარდა ამისა, 2007 წლიდან ამოქმედდა კანონი, რომელიც დასჯადად აცხადებს ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობას.

გარდა ამისა, 2006 წელს საქართველოს პარლამენტმა ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონი მიიღო. კანონი განსაზღვრავს ქვეყანაში ტრეფიკინგის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ საფუძვლებს; ამ პროცესებში სახელმწიფო ორგანოთა და სხვადასხვა თანამდებობების პირთა უფლებამოსილებებს, ვალდებულებებსა თუ მათ საქმიანობას; აგრეთვე ტრეფიკინგის მსხვერპლთა სამართლებრივ მდგომარეობას, მათ სოციალურ და სამართლებრივ დაცვას.

დღეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭო წარმოადგენს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც შეიმუშავებს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ სამოქმედოს, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს პრეზიდენტს. 2013-2014 წლის გეგმის შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

2013-2014 წლების ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმა შემუშავებულ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მინიჭების საკითხს წყვეტს საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფი პირის მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებისათვის (თავშესაფრისათვის) ან შესაბამისი დაწესებულებისათვის მიმართვიდან არა უგვიანეს 48 საათისა. მუდმივმოქმედი ჯგუფის შემადგენლობას, საქმიანობის წესს და უფლებამოსილებას განსაზღვრავს საკოორდინაციო საბჭო.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში პირს ეძლევა უფლება, მიმართოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებას (თავშესაფარს) და ისარგებლოს ამ თავით გათვალისწინებული უფლებებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ადამიანით ვაჭრობის დანაშაულზე ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო საქმიანობის განხორციელებას, ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა და მოწმეთა პირადი უსაფრთხოების დაცვას, ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნას, აგრეთვე ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელების

ხელშეწყობის მიზნით თანამშრომლობს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან.

საქართველოს პროკურატურა ადამიანით ვაჭრობის საქმეებზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას და სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას. აღნიშნულ დანაშაულზე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

ადამიანით მოვაჭრე იურიდიული პირის მიმართ გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. მას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება ჩამოერთვას დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება, მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა, მათ შორის, უვადოდაც.

არ მიცდია ლეგალურად საბუთების გაკეთება. ამის დროც კი არ მქონდა, ლამის 24 საათი ვმუშაობდი კვირაში შვიდი დღე. რა თქმა უნდა, იმის გამო, რომ არალეგალი ვიყავი, კონტრაქტი ჩემთვის არავის გაუფორმებია. არც ერთი ორგანიზაციისთვის არ მიმიმართავს. იმიტომ კი არა, რომ ინფორმაცია არ მქონდა, იმიტომ, რომ დრო ფიზიკურად არ მრჩებოდა. ჩემსავით უამრავი არალეგალი იყო იქ. დღედაღამე მუშაობენ, შესაბამისად ბევრს არ სცალია საკუთარი უფლებები არკვიოს და დაიცვას.

რამდენიმე კვირის წინ ჩამოვედი. აქაურობა, თითქოს, შეცვლილა. არ ვგულისხმობ მხოლოდ გარემოს, რომელიც, რა თქმა უნდა, ისეთი აღარაა, როგორიც დავტოვე. ურთიერთობებზე ვსაუბრობ - შეიძლება, მე მეშლება. ასე დანატრებული თბილ და ადამიანურ ურთიერთობებს, აქ ვერ ვიღებ იმდენს, რამდენიც ამდენი ხნის მანძილზე მაკლდა. შვილები გაიზარდნენ და დაოჯახდნენ ამასობაში, მეგობრებს ყველას თავისი პრობლემები აქვს... იმდენად მიჭირს აქაურობის ისევე მიჩვევა, რომ უკვე ვფიქრობ, ხომ არ წავიდე ახლა თურქეთში, რამდენიმე თვით სამუშაოდ. დეტალებია, მაგრამ ბევრს ისიც კი უკვირს, ამ ხნის ქალი თავს რომ მაინც ვუვლი. საბერძნეთში ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. ენობრივი ბარიერი ახლა საქართველოში მაქვს. ვატყობ, რომ ბერძნულად ვაზროვნებ და მერე ვთარგმნი ქართულად. არ ვიცი, რა იქნება. რა სისულელეა, მაგრამ ახლა რომ ვუფიქრდები, იმ საშინელ და ავადმოსაგონარ 90-იან წლებში, გაჭირვების მიუხედავად, გაცილებით სხვანაირი და თბილი ურთიერთობები გვქონდა. ხალხი თითქოს გაცივდა“.

სიღა-ს ესაუბრება შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს დამეფტივ-გამომძიებელი დიანა როსტიკიშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს როლზე ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში.



1. ქალბატონო დიანა, შსს-ს როლი ტრეფიკინგთან ბრძოლაში დღეს - რა სამოქმედო გეგმა აქვს სამინისტროს და რომელ უწყებებთან თუ ორგანიზაციებთან თანამშრომლობს პრობლემის გადასაჭრელად?

- ტრეფიკინგის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის კუთხით, საქართველომ არაერთი ნაბიჯი გადადგა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში 2005 წლის იანვრიდან ფუნქციონირებს ტრეფიკინგთან და უკანონო მიგრაციასთან ბრძოლის სამმართველო, რომლის კომპეტენციას წარმოადგენს 21-ესაუკუნის უმძიმესი დანაშაულის – ტრეფიკინგის (ადამიანით ვაჭრობის) წინააღმდეგ ბრძოლა. შინაგან საქმეთა სამინისტროს განვითარების გრძელვადიან და მოკლევადიან სტრატეგიებში ერთ-ერთ პუნქტად გაწერილია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, სადაც პრიორიტეტებად მიჩნეულია ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით პრევენციული ზომების გაუმჯობესება, გამოძიების მექანიზმების დახვეწა დანაშაულის თანამედროვე ტენდენციების საპასუხოდ, შსს-თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება და ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხებში პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს ოც ქვეყანასთან აქვს გაფორმებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პოლიციის სფეროში ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც მოიცავს თანამშრომლობას ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლის სფეროშიც. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით აქტიურად თანამშრომლობს თურქეთის რესპუბლიკის შესაბამის ორგანოებთან, ტრეფიკინგის დანაშაულის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით იგზავნება სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის თაობაზე შესაბამისი დოკუმენტები, რაც ხელს უწყობს დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას.

ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტრო ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით აქტიურად თანამშრომლობს როგორც სახელმწიფო ორგანოებთან ასევე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. 2014 წლის 27 თებერვალს, საქართველოს მთავარ პროკურატურას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის შორის მოეწერა ხელი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც მიზნად ისახავს ტრეფიკინგთან ბრძოლის

სფეროში სამართალდამცავ ორგანოებს შორის ეფექტური და ერთიანი კოორდინაციის ხელშეწყობასა და სამართალდამცავთა პროფესიონალიზმის ამაღლებას. ასევე, მემორანდუმი ითვალისწინებს სპეციალისტების ჯგუფის (TASK FORCE) შექმნას, რომელიც დაკომპლექტებულია პროკურორებისა და გამოძიებლებისაგან და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ტრეფიკინგის საქმეების პროაქტიულ გამოვლენაზე, გამოძიებასა და ეფექტურ სისხლისსამართლებრივ დევნაზე.

გარდა ამისა, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის გაძლიერების მიზნით 2014 წლის იანვარში შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოში შეიქმნა და ფუნქციონირებს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება, რომელიც დაკომპლექტებულია რვა დეტექტივ-გამომძიებლით. აღნიშნული სამმართველოს მთავარ ფუნქცია-მოვალეობას წარმოადგენს ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენა, პრევენციული ღონისძიებების გატარება, ტრეფიკინგის რისკ-ჯგუფს მიკუთვნებულ დაწესებულებათა და პირთა გამოვლენა, ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირება, სარგის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე მოქალაქეთა გამოკითხვა მათ მიმართ შესაძლო განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით.

2. არის თუ არა საქართველოში უცხო ქვეყნების მოქალაქეების ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომის ფაქტები დაფიქსირებული? და თუ არის რამდენი ან რა სახის?

- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) დანაშაულის გამოვლენა სტატისტიკური მონაცემებით სხვა რეგიონებთან შედარებით მეტია აჭარის რეგიონში, მიმდინარე წლის სტატისტიკური მონაცემებით აჭარაში დაფიქსირდა უზბეკეთის, ტაჯიკეთის და ყირგიზეთის მოქალაქეების მიმართ ტრეფიკინგის ჩადენის 5 ფაქტი, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლების მიერ უზბეკეთის, ტაჯიკეთის და ყირგიზეთის მოქალაქეების მიმართ განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტზე 2014 წელს

ინტერვიუ

გამოძიება დაიწყო 5 სისხლის სამართლის საქმეზე, გამოვლინდა უზბეკეთის 2 და ყირგიზეთის 2 მოქალაქე, რომლებსაც მიენიჭათ დაზარალებულის სტატუსი. მათ მიმართ განხორციელებული ტრეფიკინგის დანაშაულის ფაქტები გახსნილია, რის შედეგადაც დაკავებული და სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული იქნა უზბეკეთის 3 და ყირგიზეთის 1 მოქალაქე. 2014 წლის მონაცემებით ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის შედეგად ცნობილი გახდა, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლები და მათ მიმართ დანაშაულის ჩამდენი პირები არიან ერთი და იმავე ქვეყნის მოქალაქეები. როგორც დადგინდა უზბეკეთის და ყირგიზეთის მოქალაქეებმა თავიანთი თანამემამულეები გადაიბირეს და მაღალანაზრადებად სამუშაოზე დასაქმების დაპირებით ჩამოიყვანეს საქართველოში, სადაც ჩამოართვეს პასპორტები, შეუზღუდეს თავისუფლად გადაადგილების უფლება და უწყევდნენ სექსუალურ ექსპლუატაციას.

3. როგორია სტატისტიკა - რამდენი იყო ადრე ტრეფიკინგის მსხვერპლის ფაქტები და რამდენია ახლა? რომელი ღონისძიებების და პრევენციების ამოქმედების შემდეგ შემცირდა?

2013-2014 წლების სტატისტიკური მონაცემებით იმატა ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენამ. ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენას ხელს უწყობს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში ჩამოყალიბებული 3 მობილური ჯგუფის ფუნქციონირება. ასევე წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს აჭარაში ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების ჩამოყალიბება, აღნიშნული სამმართველოს მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ტრეფიკინგის ფაქტების ეფექტიანი პრევენცია, გამოვლენა, ტრეფიკინგის (პოტენციურ) მსხვერპლთა იდენტიფიცირება და სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე მოქალაქეთა გამოკითხვა 24/7 რეჟიმში.

2013-2014 წლების სტატისტიკური მონაცემებით ტრეფიკინგის მსხვერპლთა მიმართ ხორციელდება როგორც სექსუალური, ისე შრომითი ექსპლუატაცია. სტატისტიკური მონაცემებით, გენდერის თვალსაზრისით მეტია ახალგაზრდა ქალბატონების მიმართ სექსუალური ექსპლუატაციის განხორციელების ფაქტები, რომელთა შორის არიან როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

2013 წელს ტრეფიკინგის ფაქტზე გამოძიება დაიწყო 11 საქმეზე, 5 პირი არის დაკავებული, ხოლო დაზარალებულად ცნობილი იქნა 10 პირი. 2014 წელს გამოძიება დაიწყო 8 სისხლის სამართლის საქმეზე, სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული და დაკავებული იქნა 4 პირი და დაზარალებულის

სტატუსი მიენიჭა 5 პირს. 2013 წელს ტრეფიკინგის ფაქტზე სასამართლოს მიერ დამნაშევედ ცნობილი ერთ მოქალაქეს მიესაჯა 6 წლისა და 8 თვით, ხოლო მეორეს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. 2014 წელს სასამართლომ ტრეფიკინგზე ბრალდებული უზბეკეთის მოქალაქეს მიუსაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტზე საქართველოს მოქალაქეს მიესაჯა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ისრაელის მოქალაქე 11 წლისა და 6 თვის ვადით.

აღნიშნულ მონაცემებს თუ შევადარებთ 2012 წლის სტატისტიკურ მაჩვენებელს ნათელია, რომ როგორც გამოძიებების, ისე სისხლისსამართლებრივი დევნისა და განაჩენების რაოდენობები გაზრდილია, რაც თავისთავად მიუთითებს სამართალდამცავთა მხირდან ეფექტიანი და პროქტიული გამოძიებების წარმოების წარმატებით განხორციელებაზე.

4. ვინ უზრუნველყოფს ადგილზე გამოძიებას ან შემდგომი საჩქიების გატარებას? (პატრულის თანამშრომელი, კრიმინალური სამსახური თუ ვინ?) და არიან თუ არა ეს თანამშრომლები სათანადოდ გადამზადებულები?

ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლას ახორციელებს რიგი ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ქმედებების ერთობლიობით, კერძოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად დანაშაულის შესახებ ინფორმაციის, მათ შორის მოქალაქის განცხადების ან/და სხვა უწყებიდან შემოსული წერილობითი მომართვის საფუძველზე თუ სახეზეა კონკრეტული დანაშაულის ნიშნები ხდება გამოძიების დაწყება. ტრეფიკინგის ფაქტებზე გამოძიებას აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო. გამოძიების მიმდინარეობისას იმ პირის მიმართ ვისაც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად მიადგა ფიზიკური, მატერიალური ან მორალური ზიანი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პროკურორს გამოაქვს დადგენილება დაზარალებულად ცნობის შესახებ, და მას განემარტება მისი უფლებები, რომ მას აქვს უფლება ისარგებლოს სახელმწიფო ფონდის სერვისით, უფასო იურიდიული და სამედიცინო დახმარებით და დროებითი საცხოვრებლით.

ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებს გავლილი აქვთ ტრეფიკინგის თემაზე შესაბამისი ტრენინგები. შსს უზრუნველყოფს თანამშრომლებისთვის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგებისა და სასწავლო ვიზიტების ორგანიზებას.

5. როგორია საჩქიები დამნაშავეებისთვის?

ტრეფიკინგის დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ საჩქიები მკაცრია. საჩქიებს განსაზღვრავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შინაგან საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) დანაშაულის ჩამდენი პირის დადგენას, დაკავებას და მათ მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით საგამომიებო ღონისძიებების განხორციელებას. სისხლის სამართლის საქმეზე საკმარისი მტკიცებულებების და დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შედეგად ხდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება. საქართველოს კანონმდებლობაში, კერძოდ სისხლის სამართლის კოდექსში 2003 წლის 6 ივნისიდან შეტანილია (143¹ – 143²) სპეციალური მუხლები, რომლებიც ითვალისწინებს ადამიანებით ვაჭრობით დაკავებულ პირთა სისხლის სამართლებრივ დევნას.

ტრეფიკინგი (ადამიანით ვაჭრობა), როგორც დანაშაული მოიცავს ადამიანის ყიდვას ან გაყიდვას, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებას, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწყო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ან სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირებას, გადაყვანას, გადამალვას, დაქირავებას, ტრანსპორტირებას, გადაცემას, შეფარებას ან/და მიღებას ექსპლუატაციის მიზნით და ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ მუხლის I, II, III და IV ნაწილებით, რომელიც ითვალისწინებს 7-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული ტრეფიკინგის ჩადენის შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143² მუხლი დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს 8 წლიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას.

გარდა ამისა, 2007 წლის 8 მაისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილია სპეციალური მუხლი 143³ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა. იგი განზოგადებულია I, II, III და IV ნაწილებად და ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამიდან თხუთმეტ წლამდე ვადით.

- შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც ახორციელებს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლას, უზრუნველყოფს ამ დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენის და აღკვეთის მიზნით პროფილაქტიკური და პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას, რაც მოიცავს: საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიას. საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და დანაშაულის პრევენციის მიზნით, ბეჭდვითი საინფორმაციო მასალების მომზადებასა და გავრცელებას, მაგალითად, საქართველოსა

და თურქეთის სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის ოპერატიული კონტაქტების გაუმჯობესება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ საბრძოლველად“ პროექტის ფარგლებში, შსს-მ შეიმუშავა დასაბეჭდი ბუკლეტების ტექსტი, რომლის დამზადება უზრუნველყოფს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (IOM). სულ დაიბეჭდა 20,000 (ოცი ათასი) ცალი ბუკლეტი. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ აღნიშნული ბუკლეტები გადაეცა საქართველოს საკონსულოების თურქეთის რესპუბლიკაში, ტრეფიკინგის დანაშაულის შესახებ იქ მცხოვრები ქართველი მოქალაქეების ცნობიერების ამაღლების მიზნით. ასევე, ბუკლეტები გავრცელდა, სარფის სასაზღვრო გამტარ პუნქტზე.

პრევენციული ღონისძიებების გატარების კუთხით ტრეფიკინგის შესახებ საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლების მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სატელევიზიო და რადიო გადაცემებში, შსს-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განახლდა ტრეფიკინგის საკითხზე არსებული ინფორმაცია სახელწოდებით „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი).“

აღსანიშნავია, რომ ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი 241 17 14, სადაც მიმდინარეობს შემოსული ზარების კონტროლი, ასევე საკონტროლო გამშვებ პუნქტებზე პერიოდულად მიმდინარეობს დეპორტირებულ მოქალაქეთა შორის იმ პირთა გამოკითხვა, რომლებიც მიეკუთვნებიან ტრეფიკინგის რისკ ჯგუფს.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ უფრო მეტად ეფექტური ბრძოლის და პროაქტიული ღონისძიებების გატარების მიზნით შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოწმების სამი მობილური ჯგუფი. შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს დამტკიცებული აქვს მობილური ჯგუფების მიერ გასატარებელი ღონისძიებების გეგმა. თითო მობილური ჯგუფი დაკომპლექტდა ორი სამართალდამცავისგან, რომლებიც აწარმოებენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) რისკ შემცველი დაწესებულებების, ადგილების გამოვლენას, სადაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) ფაქტებს, ასევე რისკ-ჯგუფს მიკუთვნებულ პირთა გამოკითხვას მათ მიმართ შესაძლო განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტის გამოვლენის მიზნით. შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) დანაშაულის გამოვლენის მიზნით

ინტერვიუ

სისტემატიურად ხდება თურქეთის რესპუბლიკიდან და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან დეპორტირებულ მოქალაქეებთან გასაუბრება. ერთ-ერთი გამოკითხვის შედეგად, გამოვლენილ იქნა ხუთი მოქალაქე, რომელთა მიმართ თურქეთის რესპუბლიკაში განხორციელდა შრომითი ექსპლუატაცია (ტრეფიკინგი). ამჟამად საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

იმისათვის, რომ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა გახდეს უფრო ეფექტური და მოიცავდეს იმ ადგილებს სადაც უფრო ხშირად ფიქსირდება ტრეფიკინგის ფაქტები შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის ა/რ სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება ახორციელებს ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენას, პრევენციული ღონისძიებების გატარებას, ტრეფიკინგის რისკ-ჯგუფს მიკუთვნებულ დაწესებულებათა და პირთა გამოვლენას, ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირებას, ტრეფიკინგის დანაშაულზე ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო საქმიანობის განხორციელებასა და სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების დაწყებას, დაზარალებულ პირთა გამოვლენას (იდენტიფიცირება), სახელმწიფო ფონდთან კოორდინირებული მუშაობით მათ დახმარებას, ასევე ტრეფიკინგის დანაშაულის ჩამდენ პირთა დადგენას, დაკავებასა და სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებას. პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მიზნით მობილური ჯგუფების დახმარებით ხორციელდება პროსტიტუციით დაკავებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების იდენტიფიცირება და სრული აღრიცხვა. გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, გამოვლინდა რიგი დაწესებულებები, სადაც სისტემატურად ადგილი ჰქონდა პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტს. პრევენციის მიზნით შემოწმების მობილური ჯგუფების მიერ მიმდინარეობს იმ პირების და ორგანიზაციების შესწავლა, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებას, როგორც საქართველოში, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

7. რომელ ქვეყნებთან პარტნიორობს ამ კუთხით საქართველო და რა მხრივ? რაში გამოიხატება პარტნიორობა?

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ტრეფიკინგის მიმართულებით აქტიურად თანამშრომლობს თურქეთის, უნგრეთის, სლოვენის, საბერძნეთის, ბოსნია-ჰერცეგოვინის, უკრაინის, ხორვატიის, მოლდავეთის, აზერბაიჯანის, ბულგარეთის, მაკედონიის, რუმინეთის, სერბეთისა და ალბანეთის სამართალდამცავ სტრუქტურებთან. ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, საქართველოს ოც ქვეყანასთან აქვს გაფორმებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პოლიციის სფეროში ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმებები, შსს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო სისხლის სამართლის საქმეებთან


დაკავშირებით სხვა ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებში შუამდგომლობას სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ აგზავნის საქართველოს მთავარი პროკურატურის მეშვეობით, ხოლო ოპერატიული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით უკავშირდება მეკავშირე ოფიცრებს, ასეთი სახით თანამშრომლობა ყველაზე ხშირად ხდება თურქეთის რესპუბლიკის პოლიციასთან.

8. რამდენად ხშირად კონტროლდება ბავშვთა სახლები? ვის მიერ?

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში შექმნილი შემოწმების მობილური ჯგუფების მიერ ხორციელდება რისკ-ჯგუფს მიკუთვნებული მზრუნველობა მოკლებულ მიუსაფარ ბავშვთა შემოწმება-შესწავლა, იდენტიფიცირება და მათი ინფორმირება როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის, ასევე იძულებით შრომასა და სექსუალურ ექსპლუატაციის შესახებ. ამ მიზნით, თანამშრომლობა ხორციელდება სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან. ფონდის ტერიტორიული ერთეულიდან („თბილისის ბავშვთა კრიზისული ცენტრი“) მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, გამოვლინდა და გამოძიება დაიწყო არასრულწლოვნების მიმართ განხორციელებული ტრეფიკინგის ორ ფაქტზე.


9. რა უნდა იცოდეს მოქალაქემ რომ არ გახდეს ტრეფიკინგის მსხვერპლი და ვის მიმართოს თუ მისთვის ცნობილი გახდა ტრეფიკინგის ფაქტის შესახებ?

იმისათვის, რომ არ გახდნენ ტრეფიკინგის მსხვერპლები, მოქალაქეებს ვურჩევთ, შეისწავლონ დამსაქმებლის რეპუტაცია, წინასწარ შეადგინონ კონტრაქტი და გაიარონ პირობები იურისტთან. მიზანშეწონილია, საზღვარგარეთ წასვლის წინ მოიძიონ საქართველოს საელჩოს და ადგილობრივი პოლიციის ნომრები. იმ შემთხვევაში თუ ცნობილი გახდება ტრეფიკინგის ფაქტები, აღნიშნულის შესახებ შეუძლიათ აცნობონ 112, დარეკონ შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ცხელ ხაზზე.



ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ამონარიდი სახალხო დამცველის 2013 წლის საკარლამენტო ანგარიშიდან

ტრეფიკინგის მუხლით ჩადენილი დანაშაული, ერთეული



ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) მონობის თანამედროვე ფორმაა, რომლის ჯაჭვებიც უჩინარია. ტრეფიკინგის მსხვერპლი მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი ხდება. შრომით ტრეფიკინგთან ერთად აქტუალურია ქალებით ვაჭრობის ისეთი ფორმები, როგორიცაა სექსტრეფიკინგი. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) განიხილება როგორც გენდერული ძალადობის ერთ-ერთი ფორმა. პეკინის სამოქმედო პლატფორმა ტრეფიკინგს და იძულებით პროსტიტუციას გენდერული ძალადობის სხვა ფორმებთან ერთად განიხილავს და სახელმწიფოებს მოუწოდებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ქალთა ისეთ დაუცველ ჯგუფებს, როგორებიც არიან მიგრანტი მშრომელები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები.

2003 წლიდან საქართველოში ტრეფიკინგი სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედებაა, შემუშავებულია კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ; ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა და ინსტიტუციურ დონეზე მოქმედებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი.

თვალს თუ გადავავლებთ წინა წლების ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების იდენტიფიცირებისა და შემდგომი რეაგირების სტატისტიკას, ასე გამოიყურება:

მნიშვნელოვანია, რომ წინა წლების მონაცემებისგან განსხვავებით 2013 წელს შესაძლებელი გახდა ყველა იდენტიფიცირებული შემთხვევის გახსნა, თუმცა სხვადასხვა კვლევები, თუ ანგარიშები სახელმწიფოს შემთხვევათა იდენტიფიცირებისა და დახმარებისაკენ მიმართული ღონისძიებების გაძლიერების რეკომენდაციით მიმართავს.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2013 წლის ანგარიში ტრეფიკინგის

საკითხებზე აქცენტს აკეთებს სამი მიმართულებით: გამოძიება, დაცვა, პრევენცია და საქართველოს სახელმწიფოს მიუთითებს იმ დაბრკოლებებსა და გამოწვევებზე, რის წინაშეც ადამიანით ვაჭრობის საკითხებში დგას. ანგარიშის მიხედვით: გოგონები და ქალები საქართველოდან არიან სექსუალური ტრეფიკინგის მსხვერპლნი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე - თურქეთში, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში და შედარებით მცირე მასშტაბით - ეგვიპტეში, საბერძნეთში, რუსეთში, გერმანიაში და ავსტრიაში. ქალები უზბეკეთიდან იძულებით არიან ჩართულნი პროსტიტუციისა და სექსინდუსტრიაში საქართველოში, კერძოდ, ისეთ ტურისტულ ადგილებში, როგორიცაა ბათუმი და გონიო.

რეკომენდაციები:

- მოხდეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე არსებულ საგანმანათლებლო მასალებში, მათ შორის სასკოლო მასალებში, გენდერული საკითხების ინტეგრირება;
- ხელი შეეწყოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობის გაძლიერებას ქალთა მოწყვლად ჯგუფებთან (მათ შორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, დევნილი, სოფლად მცხოვრები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები);
- შემუშავდეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე უწყებათაშორისი საინფორმაციო სტრატეგია სამიზნე რისკ ჯგუფების სპეციფიკის და საჭიროებების გათვალისწინებით.

საინფორმაციო კამპანიისა და საინფორმაციო შეხვედრების თაობაზე სიახლეები



II ეროვნული დიალოგი: მიგრაცია და მასთან დაკავშირებული პრობლემები

2014 წლის 29 მარტს არსამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“-ს ოფისში მიგრაციის თემაზე შეხვედრა გაიმართა, რომელსაც იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის მრჩეველი ქეთი სარაჯიშვილი ესწრებოდა. მან შეხვედრის მონაწილე ადგილობრივი არასამთავრობო და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს გააცნო ტრეფიკინგთან დაკავშირებული პრობლემები, ტრეფიკინგის საფრთხეები და სახელმწიფოს ქმედებები ამ სფეროში. შეხვედრა ორმხრივი დიალოგის რეჟიმში წარიმართა. დისკუსიის მონაწილეებმა სამინისტროს წარმომადგენელს დაუსვეს კითხვები ტრეფიკინგთან და მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომელიც ეხებოდა ამ მიმართულებით არსებულს საკანონმდებლო სფეროს, სახელმწიფოს პოლიტიკასა და აქტივობებს, რაზეც სამინისტროს წარმომადგენლისგან ამომწურავი პასუხი მიიღეს.

აღნიშნული შეხვედრა G-PAM (ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს) პროექტის მეორე ეროვნული დიალოგის ფარგლებში გაიმართა. პროექტის იურისტმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნო მიგრაციაზე „სიდა“-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. შეხვედრის მონაწილეები დაინტერესდნენ კვლევის მეთოდოლოგიით, გაიმართა დიალოგი კვლევის შედეგების გარშემო, მიგრაციის პრობლემებთან დაკავშირებით.

შეხვედრა წარიმართა აქტიური დიალოგის რეჟიმში და მასში მონაწილე მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი აზრები, ცოდნა თუ დამოკიდებულება მიგრაციასა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.



ტრენინგი თემაზე "მიგრაციის მართვის საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობა და პრაქტიკა"

29-30 აპრილს თბილისში, იუსტიციის სახლში, გაიმართა 2-დღიანი ტრენინგი თემაზე: „მიგრაციის მართვის საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობა და პრაქტიკა“.

ტრენინგზე პირველ დღეს შემდეგი თემები იქნა განხილული: მიგრაციის მართვა საქართველოში, საქართველოს მოქალაქეობა და „მოქალაქეობის შესახებ“ ახალი ორგანული კანონის ძირითადი პრინციპები, გარდა ამისა უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ახალი კანონი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2 დღიანი ტრენინგზე, ასევე ყურადღება გამახვილდა მიგრაციის სფეროში საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობაზე. განხილულ თემებს შორის იყო: პარტნიორობა მობილურობისთვის, ევროკავშირთან სავიზო ლიბერალიზაციის საკითხები, რეადმისია, სავიზო საკითხები, ადამიანის ვაჭრობის, ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლა და არსებული სამართლებრივი და პრაქტიკული მექანიზმები. 2 დღიანი ტრენინგი, რომელსაც სულ 16 ადამიანი ესწრებოდა, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“-ს აღმასრულებელი დირექტორი ზვიად დევედარიანი, განკუთვნილი იყოს G-PAM პროექტის პარტნიორი ორგანიზაციებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ტრენინგს დაესწრნენ G-PAM პროექტის რეგიონული ორგანიზაციების წარმომადგენლები, პროექტის ადგილობრივი კოორდინატორები თურქეთში, ასევე პროექტის კოორდინატორები კომპიუტერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოებიდან, სოფლის საკონსულტაციო ცენტრების წარმომადგენლები და თავად პროექტის გუნდი.

ტრენინგის ფარგლებში, მონაწილეებმა თემასთან დაკავშირებით საჭირო ინფორმაცია მიიღეს

სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებიდან. ტრენინგის დამსწრეებს საკითხთან დაკავშირებულ თემებზე შემდეგი უწყების წარმომადგენლები ესაუბრნენ: მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახური, ევროინტეგრაციის სამინისტროს ევროკავშირის ინიციატივების კოორდინაციის სამმართველო, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისო საბჭოს წარმომადგენელი, საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპასთან ინტეგრაციის დეპარტამენტი და ა.შ.

ტრენინგის ბოლის გაიმართა დისკუსია, მონაწილეებმა დასვეს მრავალი კითხვა რაზეც კომპეტენტური პასუხები მიიღეს.

შენიშვნა: პროექტი „ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს საბერძნეთსა და თურქეთში“ (G-PAM), ხორციელდება არასამთავრობო „სიდა“-ს ფასილიტაციით და დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.

არასამთავრობო საქმეთა
ჩართულობა
ადამიანი ვაჭრობის
(ტრაფიკინგის) მსხვერპლთა,
დაზარალებულთა დაცვასა და
დახმარების საკითხებში
სახელმწიფოსთან ერთად შემდეგი
არასამთავრობო ორგანიზაციები
არიან ჩართულები:
მიგრაციის საერთაშორისო
ორგანიზაციის (IOM)
საქართველოს
წარმომადგენლობა,
საქართველოს ახალგაზრდა
იურისტთა ასოციაცია და
ძალადობისაგან დაცვის
ეროვნული ქსელი.



მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საქართველოს წარმომადგენლობა

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც 1951 წელს დაარსდა, მიგრაციის სფეროში მსოფლიოს წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციაა. იგი მჭიდროდ თანამშრომლობს სამთავრობო, მთავრობათაშორის და არასამთავრობო სექტორთან. IOM მსოფლიოში 100-ზე მეტ ქვეყანაში ოთხ ფართო სფეროში მუშაობს, ესენია: მიგრაცია და განვითარება, მიგრაციის ხელშეწყობა, მისი რეგულირება და იძულებითი მიგრაცია. საქართველოში IOM-ის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობის სფერო ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებებია. ორგანიზაცია საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით 2000 წლიდან ახორციელებს კვლევებს, პრევენციულ საინფორმაციო კამპანიებს, სამთავრობო სტრუქტურების თანამშრომლების ტრენინგსა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა უსაფრთხო დაბრუნებასა და სამშობლოში რეინტეგრაციას. პროექტი „სასკოლო განათლება ადამიანთა ვაჭრობის პრევენციის სამსახურში“ ხორციელდება IOM-ის მხარდაჭერით სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად გადაწყდა, რომ ტრეფიკინგი, როგორც საგანმანათლებლო მოდული შეტანილი იქნება სამოქალაქო განათლების ეროვნულ კურიკულუმში. საამისოდ გადამზადდნენ პედაგოგები, მომზადდა სასწავლო მასალა, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით სკოლებს უფასოდ დაურიგდებათ. IOM აგრეთვე ჩართულია ტრეფიკინგის მსხვერპლების იდენტიფიკაციისა და მსხვერპლის სტატუსის

ოფიციალურად მინიჭების ბოლო დროს მიღებული მექანიზმების განხორციელებაში. IOM არის საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს წევრი, რომელიც აკონტროლებს საქართველოს ანტიტრეფიკინგის სამოქმედო გეგმის განხორციელებას. IOM რეგულარულად უზიარებს გამოცდილებას მთავრობას და მონაწილეობას იღებს ანტიტრეფიკინგის ეროვნული სამოქმედო გეგმის განახლებაში.



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი ერთობლივად ახორციელებენ ევროკავშირის დაფინანსებულ პროექტს საქართველოსა და ევროკავშირის შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობა. 25 წლიანი პროექტის საერთო მიზანია ევროკავშირისა და საქართველოს შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობა. ამასთან, პროექტი ფოკუსირდება 4 მთავარ ამოცანაზე:

- მიგრაცია და განვითარება;
- მიგრაციის კანონმდებლობისა და პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა;
- არალეგალურ მიგრაციასა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა;
- მიგრანტთა უფლებების დაცვა.

აქტივობები განხორციელდება როგორც თბილისში, ასევე საქართველოს 10 რეგიონში - გურია, იმერეთი, ქვემო ქართლი, კახეთი, მცხეთა მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო ზემო სვანეთი, სამცხე ჯავახეთი, შიდა ქართლი, აჭარა. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის პუნქტის ძირითადი აქტივობებია: საინფორმაციო ბროშურები: ა) ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობები, არალეგალური მიგრაციის საფრთხეები; ბ) როგორ ავიცილოთ თავიდან ტრეფიკინგის შემთხვევები; ცნობიერების ამაღლების კამპანია - 30 ავტო ტური, 10 პრეზენტაცია/საჯარო დისკუსია, მედია პროდუქტები.

ქალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი

ქალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი დაარსდა 2003 წელს. ორგანიზაცია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან თანამშრომლობით დახმარებას უწევს სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებს (ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალები, ბავშვები, პატიმარი ქალები, არასრულწლოვანი პრობაციონერები და ა.შ.), მათ შორის, ტრეფიკინგის მსხვერპლებს. 2010 წლიდან პოლონეთის საელჩოს მხარდაჭერით განახორციელა პროექტი „მცირე წარმოების განვითარება ოჯახში ძალადობის მსხვერპლების, დამოკიდებულების მქონე პირების, ტრეფიკინგის მსხვერპლების, ყოფილი პატიმრებისა და პრობაციონერი ქალებისათვის“.



ტრეფიკინგის სახელმწიფო ფონდის საქმიანობის შესახებ

2006 წელს საქართველოში ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის საფუძველზე ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი შეიქმნა. ფონდის მიზანია ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა, დახმარება და მათი შემდგომი რეაბილიტაცია.

2009 წლიდან ფონდი აფართოებს თავის საქმიანობას და გარდა ტრეფიკინგისა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარებასა და მათი ინტერესების დაცვას იწყებს. ხოლო 2013 წლიდან ფონდის ფუნქციებს მზრუნველობამოკლებული ბავშვების, ხანდაზმულებისა და შშმ პირთა დაცვა და დახმარება ემატება.

შედეგად სახელმწიფო ფონდის სფეროები უფრო მრავალფეროვანი გახდა. ფონდის წლევეანდელი ბიუჯეტი 7 მილიონ ლარს აღემატება. დღეს ქვეყნის მასშტაბით ფონდს 10-ზე მეტი ფილიალი და თავშესაფარი აქვს. გარდა კონსულტაციისა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა, ფილიალები მუშაობენ იურიდიული და სამედიცინო დახმარების მხრივაც. ბენეფიციარს თავშესაფრის მომსახურებით

შეუძლია სამი თვის განმავლობაში ისარგებლოს. სამი თვის შემდეგ მისი დარჩენის საკითხი თავშესაფარში ინდივიდუალურად განიხილება. თავშესაფარი უზრუნველყოფს:

- 24 საათიან მომსახურებას;
- დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარების განვითარებას;
- ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც ემსახურება ბენეფიციარის სრულფასოვან განვითარებას;
- არასრულწლოვან ბენეფიციართა ფორმალური და არაფორმალური განათლების მიღების ხელშეწყობას;
- კვებას;
- ფსიქო-სოციალურ, სამედიცინო და სამართლებრივ მომსახურებას;
- ბენეფიციართა მონაცემების კონფიდენციალურ დაცვას.

სახელმწიფო ფონდის მიზანია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დახმარება და მათი კანონიერი ინტერესების დაცვა; ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრებით, იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა; რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში სრული რეინტეგრაციის ხელშეწყობა; გარდა ამისა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება; ოჯახსა და საზოგადოებაში სრული რეინტეგრაციის ხელშეწყობა; შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთათვის ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული ცხოვრების პირობების შექმნა; დღისა და საღამოს მომსახურების ფარგლებში მოვლა-პატრონობა, კვება, პირველადი სამედიცინო მომსახურება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარება; სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაცია და დახმარება. 2013 წლის პერიოდში ფონდის სერვისებით ისარგებლა ტრეფიკინგის 34 მსხვერპლმა.

**სერვისით სარგებლობისათვის
მუშაობს ცხელი ხაზი: 2 100 229**

კითხვა-პასუხი

ვალდებულია თუ არა, ტრეფიკინგის მსხვერპლი ითანამშრომლოს სამართალდამცავ ორგანოებთან? ტრეფიკინგის მსხვერპლს ეძლევა 30 დღიანი მოსაფიქრებელი ვადა. ამ დროის განმავლობაში მან უნა მიიღოს გადაწყვეტილება სურს თუ არა თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებთან. მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში იგი თავისუფლდება ჩვენების მიცემაზე უარის თქმის გამო სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

რამდენად დაცულია ტრეფიკინგის მსხვერპლის უსაფრთხოება, მისი სამართალდამცავებთან თანამშრომლობის შემთხვევაში?

თქვენი პირადი უსაფრთხოების დაცვა და სამედიცინო - ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ღონისძიებები განხორციელდება თქვენივე თანხმობით და თქვენი პერსონალური მონაცემების სრული გასაიდუმლოებით. ტრეფიკინგის მსხვერპლად ყოფნის გამო გასაიდუმლოვდება თქვენი ვინაობა, მისამართები და სხვა პერსონალური ინფორმაცია. ასევე უსაფრთხოა მსხვერპლის თავშესაფარში ცხოვრებაც. დაზარალებულს და მოწმეს, ასევე იმ პირებს, რომლებიც მათ სამართლებრივ დაცვასა და დახმარებას უწევენ, უფლება აქვთ, ნებისმიერ დროს მოითხოვონ თავიანთი და ოჯახის წევრების პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. **ვაპირებ საზღვარგარეთ წასვლას დასაქმების მიზნით. შუამავლად მივაკითხავ არა კერძო პირს არამედ დასაქმების სააგენტოს ან ტურისტულ კომპანიას. ვიქნები თუ არა რისკ-ჯგუფში?**

სამწუხაროდ, არსებული რეალობიდან გამომდინარე, თქვენს მიერ არჩეული გზა უსაფრთხოების გარანტიად ვერ ჩაითვლება. გაითვალისწინეთ ჩვენი რეკომენდაციები: გადაამოწმეთ ფირმის (ან სააგენტოს) საიმედოობა, რომელთან თანამშრომლობასაც აპირებთ. კერძოდ, რეგისტრირებულია თუ არა საქართველოში, ვინ არიან მისი დამფუძნებლები, რამდენი წელია რაც ფუნქციონირებს და ა.შ. საქართველოს კანონმდებლობით აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება საჯაროა და ნებადართულია.

მოითხოვეთ კონტრაქტი და ხელის მოწერამდე გააცანით ის იურისტს. გახსოვდეთ, რომ მასში ყველაფერი თქვენთვის გასაგებ ენაზე უნდა იყოს დაწერილი. დაინტერესდით საზღვარგარეთ თქვენი სამუშაო ადგილით და ანაზღაურებით. მოიპოვეთ მაქსიმალური ინფორმაცია დამსაქმებლის და უკვე განხორციელებული დასაქმებების შესახებ.

განსაკუთრებით სიფრთხილე გამოიჩინეთ პირად დოკუმენტებთან დაკავშირებით. ნურავის ანდობთ თქვენს პასპორტს

გახსოვდეთ, რომ საქართველოს უმრავლეს ქვეყანაში აქვს თავისი საელჩო და საკონსულო. გამგზავრებამდე მოიპოვეთ ინფორმაცია კონკრეტულ ქვეყანაში საქართველოს წარმომადგენლობის შესახებ.

ჩასვლისთანავე მიაკითხეთ მას და დააფიქსირეთ თქვენი ჩასვლა და დატოვეთ საკუთარი პირადი დოკუმენტების ასლები.



არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდეთ საზღვარგარეთ წასვლას შესაბამისი ნებართვის - ვიზის გარეშე. გახსოვდეთ, რომ თუ დოკუმენტები წესრიგში არ გექნებათ, უფრო ადვილად აღმოჩნდებით დამნაშავეთა ხელში.

რა ვადით ხდება მსხვერპლის თავშესაფარში განთავსება? თავშესაფარში მსხვერპლის განთავსება ხდება 3 თვის ვადით. თუმცა საჭიროების შემთხვევაში ვადის გაგრძელება შესაძლებელია.

გავიგე, რომ არსებობს ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი. მაინტერესებს რა სახის დახმარება ეწევათ მსხვერპლებს იქ?

თბილისის ტრეფიკინგის თავშესაფარი 2007 წელს გაიხსნა. იქ მსხვერპლებს ეწევათ უფასო სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება, აგრეთვე უფასო იურიდიული კონსულტაცია და დახმარება. ამას გარდა, თავშესაფარში შეიძლება ხორციელდებოდეს მსხვერპლთა რეაბილიტაციის სხვა ღონისძიებებიც; თავშესაფარში მყოფი მსხვერპლების უსაფრთხოების დაცვა გარანტირებულია. თბილისის გარდა ფუნქციონირებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა სახელმწიფო თავშესაფარი ბათუმში.

თუ არის გათვალისწინებული რაიმე სახის კომპენსაციები მსხვერპლთათვის?

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მსხვერპლს უფლება აქვს მოითხოვოს ფულადი კომპენსაცია. კომპენსაცია არის ერთჯერადი და შეადგენს 1 000 ლარს. ასევე მიმართოს სამოქალაქო სარჩელით სასამართლოს და მოითხოვოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მიყენებული მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანის ანაზღაურება.

გავიგე ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრის არსებობის შესახებ. ვარ ტრეფიკინგის მსხვერპლი, შემიძლია თუ არა ვისარგებლო აღნიშნული სერვისით?

სტატუსის მინიჭება პიროვნებას საკუთარ თავზე არ შეუძლია. ეს ხდება სპეციალურად შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ, რომელიც პირის მიერ შევსებული მსხვერპლის საიდენტიფიკაციო კითხვარის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პირისათვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების ან სტატუსის მინიჭების უარის თქმის შესახებ. დაზარალებულად ითვლება პირი, რომელსაც ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის შედეგად მიაღდა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი და რომელიც სამართალდამცავი წესით ცნობილი იქნა დაზარალებულად. პირისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება ხორციელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის მიხედვით

ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საკითხებში საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების საკონტაქტო ინფორმაცია:

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (www.atipfund.ge)

ქ.თბილისი, თამარაშვილის 15ა
+ (995 32) 2 39 53 50

contact-atipfund@moh.gov.ge

IOM მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (www.iom.ge)

ქ.თბილისი, გოგებაშვილის ქ. 41
ტელ: +995-32-252216, +995-32-293894
E-mail: consultation@iom.ge

ქ.ქუთაისი
ვიკტორ კუპრადის ქ.№ 7
ტელ: 993-231-44443
E-mail: iomkutaisi@iom.ge

ქ.ბათუმი
მ. აბაშიძის გამზ.№ 48
ტელ: +995-222-73689
E-mail: iombatumi@iom.ge

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია):
(www.gyla.ge)

ცენტრალური ოფისი
ქ.თბილისი, ჯ. კახიძის ქ. #15 ს.ი. 0102
ტელ.: (995 32) 293 61 01 / 295 23 53
ფაქსი: (995 32) 292 32 11

იურიდიული კონსულტაცია:
ქ.თბილისი, უზნაძის ქ. #101
ტელ.: (995 32) 299 50 76
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge

ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი (www.avng.ge)
ქ.თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქ. N9
ტელ/ფაქსი: 2 95 06 79
ცხელი ხაზი: (832) 2 72 67 17
ელ-ფოსტა: : antiviolence@avng.ge

სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA)

მაია პაქსაშვილი, G-PAM პროექტის იურისტი
სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა)
ფიროსმანის ქ. 9/1, რუსთავი 3700
(+995) 571 258 822 / 341 25 88 24 (შიდა ნომერი 13)
migrant_ge@hotmail.com, maia@cida.ge
www.migrant.ge, www.facebook.com/migrant.ge

სკაიპ-სახელი: migrant_ge

ზურაბ წურწუშია, G-PAM პროექტის ასისტენტი
სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა)
ფიროსმანის ქ. 9/1, რუსთავი 3700
(+995) 598 715 915, 341 25 88 24 (შიდა ნომერი 13)
migrant_ge@hotmail.com, zura@cida.ge
www.migrant.ge, www.facebook.com/migrant.ge

საბერძნეთი

გიორგი ოკრიბელაშვილი, პროექტის წარმომადგენელი
სამოქალაქო განვითარების სააგენტო / "მე დავბრუნდები"
ვილარას ქ. 5, ათენი (Βηλαρά 3, Αθήνα - Ομόνοια)
+30 699 263 1111, migrant_gr@hotmail.com
www.facebook.com/migrant.ge, სკაიპ-სახელი: migrant_gr

თურქეთი

მაია კობაიძე, პროექტის წარმომადგენელი
სამოქალაქო განვითარების სააგენტო / "მე დავბრუნდები"
მე-4 სართ., თოფჩეკენლერის ქ. 16, ჰუსეინაღას უბანი
(Huseyinağa mah. Topçekenler sok. No16. Kat.4. Beyoğlu/İstanbul)
ბეიოღლუ/სტამბოლი, +90 531 317 8901,
migrant_tr@hotmail.com
www.facebook.com/migrant.ge, სკაიპ-სახელი: migrant_tr

ნანა კლდიაშვილი G-PAM პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი;
სამოქალაქო განვითარების სააგენტო / "მე დავბრუნდები"
მე-4 სართ., თოფჩეკენლერის ქ. 16, ჰუსეინაღას უბანი
(Huseyinağa mah. Topçekenler sok. No16. Kat.4. Beyoğlu/İstanbul)
ბეიოღლუ/სტამბოლი, +90 537 282 0464,
migrant_tr@hotmail.com
www.facebook.com/migrant.ge, სკაიპ-სახელი: migrant_tr